№ 35 11 აპრილს, ქვირა 1866—1876 11 აპრილს, ქვირა № 35

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია
ფელიამინოვის ქუჩაზე, აპტეკ ჩაიგუშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებისათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

გაზეთის ფასი
წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. 00 კაპ. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულია, სტრიქონზე—6 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდველი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.


## საქართველო

### ვინ ამოჰვარჩიოთ?

როდესაც ეს ნომერი ჩვენის გაზეთისა მიეა ქუთაისს, იქ უეჭველია, სათავად-აზნაურო სახლში თუ არა, ბულვარზე მაინც გადაჩურჩული-გადმოჩურჩულება და გაცხარებული ბაასი დაწყებული იქნება ბანკის ამორჩევების თაობაზე.

— აბა, ენახოთ, „დროება" რას ამბობს ჩვენს ბანკზედო? — იკითხავს იმერელი თავადი ან აზნაური, როდესაც ჩვენდა სასიამოვნოთ, მიჩვეულია გაზეთის კითხვასა.

— ნეტავი „დროებაში" რას სწერენ ჩვენს ბანკზედო? — იკითხავს მეორე თავადი ან აზნაური.

გნებავთ? საჭიროთ რაცხთ შეიტყოთ — „დროება" რას ამბობს? მინდათ იცოდეთ ჩვენი ერთად-ერთი ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელი გაზეთი რა ჰაზრის არის ამ საგანზე? ბატონი ბრძანდებით; ამაზე ადვილი არა არის რა. ყური კი დაუგდეთ იმის სიტყვას:

მას აქვს, რაც პირველად დაიწყეს ჩვენში ბანკის დაარსებაზე ლაპარაკი, „დროებას" ერთხელ და ორჯელ არა ულაპარაკნია ამაზე, ორმოცჯერ მაინც გამოუთქვამს თავის ჰაზრი — თუ წესდებაზე, თუ კომისიაზე, თუ თვით ბანკის დაინიშნულებასა და მნიშვნელობაზე და სხვ.

მის ჰაზრი თითქმის მუდამ ერთი-და-იგივე ყოფილა:

„დროება" ჰფიქრობდა და ჰფიქრობს ახლაც, რომ ამ ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის, იმ ხალხისათვის, რომელიც თითქო ისტორიულის ბედით მეურნეობის მიმდევარ ხალხად გაუჩენია განგებას, რომელსაც მაშასადამე პირველი და უკანასკნელი იმედი თავის მიწა-წყალზე და ადგილ-სამყულზე უნდა ჰქონდეს დამყარებული, რომ იმ ხალხისათვის, რომლითვისაც ბედს ჩინებული, მდიდარი ბუნება და მიწა-წყალი მიუნიჭებია, მაგრამ შემუშაობის სახსარი კი არა, — რომ ამისთანა ხალხისათვის საადგილ-მამულო ბანკი, კრედიტი ერთსა და იმავე დროს ალმაშენებელ საშუალებასაც შეადგენს და დამლუპველსაც; ალმაშენებელს, თუ ბანკის ფულებს მიწისა და მამულებისავე გასაკეთებლად მოიხმარებუნ, და დამლუპველს, თუ ეს ფულები მუქთად, უნაყოფოდ დაიხარჯება.

„დროება" ჰფიქრობდა და ახლაც ამას ჰფიქრობს, რომ ეს ბანკი იმერეთს ისე თავის სესხის გაცემით არ გამოადგება, როგორც იმ 50% სარგებლით, რომელიც ბანკის წესდებით, „ქუთაისის თავად-აზნაურობის საზოგადო საჭიროებათა" დასაკმაყოფილებლად არის გადადებული. „დროების" ჰაზრით, ამ შემოსავლის საშუალებით ბანკს შეუძლიან ისეთი სასარგებლო რამეები დააწესოს ჩვენში, რომელიც კერძოთ მეურნეობასაც წასწევს წინ და ამასთანავე საზოგადოთ ჩვენს კეთილდღეობასაც.

„დროება" ჰფიქრობდა და ახლაც ამას ჰფიქრობს, რომ ყველა ამ იმედთ განხორციელება და იმ მოლოდინთ სისრულეში მოყვანა შეუძლიან მხოლოდ ისეთ პირებს, რომელს გამგეობას ბანკისას, რომელიც თავიდამვე მიხვდება — თუ რა მძიმე მოვალეობა აწევს იმას საზოგადოების წინაშე, რომელიც თავიდამვე ნათლად გაიგებს ამ ბანკის ნამდვილ დანიშნულებას, მიხვდება, გაიგებს და იმდენი თავიანობა, ცოდნა და გულმოდგინებაც ექნება, რომ ამ დანიშნულების, შესრულებას მოინდომებს და შეიძლებს.

„დროება" ჰფიქრობდა, ჰფიქრობს და ეს თავის ჰაზრი ბეეროჯელაც გამოუცხადებია, რომ, ამ შემთხვევაში მაინც არის, ჩვენმა თავად-აზნაურობამ უნდა დაიცეწყოს ყოველ გვარი მიდგომილება ძოყერობითა, ნათესაობითა, ნაცნობობითა და სხვა ამ გვარი საფუძვლებით; რომ არათუ მარტო ჩვენი საკუთარი ბედი, ჩვენი შთამომავლობისა, ჩვენი შვილებისა და შვილი-შვილებისაც მოითხოვს, რომ ახლანდელმა თავად-აზნაურობამ, რომელიც ამ საქმის საფუძველს ამყარებს, გაფრთხილებით, წინდახედულებითა და მიუდგომელად მიჰყოს ხელი ბანკის თაობაზე კენჭის ყრასა და იმის ბედის გამგებელთ ამორჩევას.

ჩვენ გავიგონეთ, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობაში გავრცელებული ია ის ჰაზრიო, რომ ბანკისათვის მხოლოთ ისეთი ახალგაზდა, გონიერი და ენერგიული კაცები უნდა იყუნენ ამორჩეულნი, რომელთაც უმაღლესი განათლება მიეღიათო; ამბობენ თურმე, რომ „ჩვენი ჭკუის კაცები" ბანკს ვერ წაიყვანენო, ის ახალი, ძნელი საქმეაო.

ეს ჰაზრი ყოვლად გონიერი და საფუძვლიანი ჰაზრია, და ძალიან სამაგალითო იქნება, თუ ამორჩეველები ამით ხელმძღვანელებენ, როდესაც კენჭს მოჰკიდებენ ხელს.

მართლაც, ბანკის საქმის წაყვანა ყველას არ შეუძლიან: შეიძლება ისეთი არზის დაწერა იცოდეს კაცმა, რომ, როგორც იმერეთში ამბობენ, „ქვას გახეთქს"; მაგრამ ამისთანა კაცი ბანკისათვის სრულებით გამოუდეგარი იყოს. შეიძლება მეორე მშვენიერი მომრიგებელი მოსამართლე იყოს, პატიოსანი კაცი; მაგრამ ბანკის ვითარება სრულებით არ ეცმოდეს. შეიძლება ძესამე ჩინებული მოლაპარაკე იყოს, ძველი ქართული ფილოსოფია ჩაყლაპული ჰქონდეს; მაგრამ ბანკის გამგეობა კი სრულებით დახლართოს. შეიძლება მეოთხე დარბაისელი კაცი იყოს, პატივცემული, გონიერიც; მაგრამ თუ ახალგაზდობის ენერგია არა აქვს, თუ უმაღლესი სწავლა-განათლება არ მიუღია, მერწმუნეთ, ის ბანკში ვერ გამოდგება.

ჩვენ ამას წინათ გამოვეთქვით ჩვენი ჰაზრი იმაზე — თუ ვის უნდა მიენდოს ქუთაისის ბანკის გამგეობა და ეს პირებიც დაეასახელეთ.

დღესაც ამაზე ვდგევართ; დღესაც იმათზე მიგვიქცევია ქუთაისის თავად-აზნაურთა ყურადღება; დღესაც იმათ ამორჩევას ურჩევთ და ურჩევთ იმიტომ, რომ, ჩვენის ჰაზრით, ამ ჟამად ბესარიონ ლოლაბერიძეზე, ბესარიონ ჯაფარიძეზე და ანტონ ლორთქიფანიძეზე უფრო გამოსადეგი და მოთავსებული კაცები ჩვენის ბანკისათვის ქუთაისის გუბერნიას თითქმის სხვა არავინა ჰყავს.

და ვინც „დროების" რედაქციას იცნობს, ის უეჭველად დაგვეთანხმება, რომ ამ საგანში ჩვენ პირადი მიდგომილობითა, მეგობრობით და სხვა ამისთანა გრძნობით არ ვხელმძღვანელობთ.

დაგვერწმუნეთ, რომ მხოლოდ ჩვენი ბანკის დღევრძელობა და მეამაყულეთა სიკეთე გვაქვს მხედველობაში, როდესაც ამ პირების ამორჩევას გეურჩევთ...

### ქუთაისის ბანკის საქმე *)

შესავალი

რაკი მკითხველი ამ ჩემი სტატიის სათაურს და ხელ-მოწერას თვალს გადაავლებს, მის გონებაში აუცილებლათ ერთი ახირებული აზრი გაელაპს:

— ოჰ, გამოუძებნია ნიკოლაძეს ძველი თამასუქები! ქუთაისის ბანკს ხსნიან, ეხლა ჩაასობს ის კბილს ბესარიონ ლოლობერიძეს, ალარ მოეშვება, ასტეხს ერთს უშველებელს ვაი-ვაგლახს, და მოსვენებას როდისა ძოგვცემს!

დამშვიდდი, ჩემო მკითხველო! ბესარიონ ლოლობერიძესთან მე, ღვთის მადლით, გასაყოფი არა მაქვს რა, და ჩვენ არც არაფერში ვეცილებით ერთმანეთს, არც ერთი მეორის ჯინი გეჭირს. ბესარიონ ლოლობერიძემ შეადგინა ქუთაისის ბანკის წესდება, და დღეს ბის კისერზე აუცილებელი მოვალეობა სწევს — ეს წესდება ასრულებაში მოიყვანოს და ბანკის მმართველობა იკისროს. მე ერთერთს ჯერ იმოდენათ ჭკუიდამ არ შეუშლივარ, რომ ბესარიონ ლოლობერიძეს ამ მოვალეობის მიღებაში და შესრულებაში ხელი შეუშალო. მაგიერათ არც ბ. ლოლობერიძეა იმეთი კაცი რომ მთელი ქვეყნის პირზე ხელის აფარება მოინდომოს, მეც მაწევს თავზე ერთი მძიმე მოვალეობა, რომლის ასრულებაში მე ვერავინ შემეცილება. ეს მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ მე მეჭვდით რამდენჯერმე გამოვთქვი იმ წესდების განკიცხვა, რომელიც ბ. ლოლობერიძემ შეადგინა და რომელიც იმან ეხლა ასრულებაში უნდა მოიყვანოს. მართალია, ამ განკიცხვას ის საფუძველიც ჰქონდა, რომ მე ვეკიცხებოდი იმ გზას, რომლითაც ბ. ლოლობერიძემ თავისი წესდება ჩვენს თავად-აზნაურობას მიჰყიბინა, მაგრამ ეხლა უმთავრესი მნიშვნელობა ამ გზას კი არა, თვითონ ამ წესდების შინაარსს მიეცა, ამის გამო მე უნდა ვილაპარაკო თვითონ ამ წესდებაზე.

მართალია, კიდევ, რომ ვინც საქმეს მარტო დღევანდელი ინტერესის თვალით უყურებს, იმისთვის ამ ჩემს წერას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. ეხლანდელ ქუთაისელ კრებას მარტო ერთი დანიშნულება აქვს: ვის ძიანდოს ბანკის მმართველობა, ვის ჩააბაროს მისი ზედამხედველობა. ამ კრებაში წესდების შინაარსი და პრინციპები არც კი გაიხილება. შიგ არსებითი, პრინციპიალური სჯის მაგიერ, მარტო პიროვნული სჯა და შეტაკება იქნება. მაგრამ განა ეს ეხლანდელი ქუთაისელი კრება მთელს ჩვენს ქართველთ საზოგადოებას შეადგენს? განა მწერლობას მარტო ეს კრება და მისი გადაწყვეტილებანი უნდა ჰქონდეს მხედველობაში, და არა მთელი ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი და მდგომარეობა? განა ჩვენ არ უნდა ვისარგებლოთ წარსული შეცდომებით, რომ მომავალში მსგავსი უბედურება თავიდამ ავაცილოთ ჩვენს საზოგადოებას, ხალხს და ქვეყანას? განა ცოტა-ცოტა ეხლავე არ უნდა შევიყვანოთ საზოგადოების გონებაში იმ ცვლილებების საჭიროება, რომელთაც შემდეგში შეიძლებათ გამრუდებული საქმის გასწორება და ხელრიანს გზაზე დაყენება?

მწერალმა და მწერლობამ მხედველობაში უნდა იქონიოს ეს ყველაფერი, თუკი მის წერას საზოგადო სარგებლობა წინ-მიუძღვის, და არა მარტო წუთიერი გაღვენის ან პირადი სარგებლობის სურვილი. ამის გამო მე უბრუნდები ბანკის საქმეს და საჭიროთ ვთვლი მიეაქციო მასზე საზოგადო ყურადღება სწორეთ იმ დროს, როცა ქუთაისის თავადაზნაურობა ერთ მის კერძო, პიროვნულ კითხვას სჯის და სწყვეტს.

### I — რა ნაირათ არდგენენ ბანკის წესდებას.

ყოველგან, სადაც კი გონიერი და მცოდნე პირი რომელიმე ბანკის დაარსებას აპირებს, ის ყველაზე უწინ ერთ კითხვას აძლევს თავის თავს: „რა ნაირ მდგომარეობაშია ის მხარე, რომელშიაც ბანკი მინდა გავხსნა, რა ეკონომიური და სოციალური საჭიროება უფრო ძლიერია ამ მხარეში, და რომელი წესი ყველაზე უფრო სრულათ დააკმაყოფილებს ამ საჭიროებასს?" როცა ბანკის გამხსნელი ამ კითხვებს საფუძვლიანათ გამოიკვლევს, ის შეუდგება თავისი არჩეული ქვეყნის იურიდიკულის მდგომარეობის გაშინჯვას, რომ გაიგოს, რა და რა უფლება და კანონიერი მგდომარეობა აქვს იმ საზოგადოებას და ხალხს, რომელშიაც უნდა დაარსდეს მისი ბანკი. ამის შემ-

*) თუმცა კი ამ სტატიას ვბეჭდავთ, მაგრამ იმართლე ვალსა გვდებს გამოვაცხადოთ, რომ მაგ სტატიაში გამოთქმულს აზრებსა და მსჯელობას არ ვეთანხმებით.

რედ.

დეგ ის შეათანასწორებს სხვა და სხვა გვარი ბანკების დედა აზრებს, პრინციპებს, საფუძვლებს, და გამოარჩევს ამ საფუძვლებში ერთს იმგვარს, რომელიც ყველაზე უფრო მოუხდება და შეეფერება არჩეულ მხარეს, საზოგადოებას და ხალხს. მერმე ამ საფუძველზე ის თვითონ ააშენებს მთელს წესდებას, ისე, რომ ამ წესდების თითოეული თავი და მუხლი შეეფერებოდეს არჩეული მხარის მდგომარეობას, საჭიროებას, ხასიათს და მომავალს. მაშინ გამოდის ხეირიანი და სრული, ერთიანი, მრთელი წესდება და ბანკი თავის საკუთარს ფეხზე მაგრათ დგება. მაშინ ამნაირათ გაწყობილი ბანკი ნამდვილი და ცხოველი ნამყოფი გამოდის იმ ქვეყნისა, რომელშიაც და რომლისთვისაც იმართება.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ სადმე ბანკი ამ ნაირათ კი არ დაარსებულა, დასრულა მიბაძვით, გამოუკლებლათ. მთქვათ მუ ეინდომე Абхазეთში ბანკის გამართვა, და სანამ შეიტყე რა რიგი გაწყობილებაა იქ ბატონ-ყმებს შუა, რა ნაირი უფლებები აქვს იქ მიწის-მეპატრონეთ ადგილ-მამულზე, რა კანონებს ემორჩილება იქაური მმართველობა და სამართალი, რა ეკონომიური და სოციალური საჭიროება ადგია იქ ხალხს, აიღე პოლტავის, პარიჟის და მადრიდის ბანკის წესდებები და ამოაწერე თითოეული მათგანიდამ ის მუხლები ან თავები, რომელიც მე მომეწონა. რა გამოვა აქედამ? შესაძლებელია, რომ თავიანთი მხარეებისთვის ეს წესდებები გამოსადეგი და გონიერნი იყვნენ, მაგრამ ჩემი ნაკუწ-ნაკუწათ შედგენილი წესდება მაინც იქნება ჭრელი და უხეირო. რა გინდ მოხერხებული და ხელოვნური ნიჭი მქონდეს მე, რა გინდ ვეცადო და ვიშრომო, ათასიც რომ მოვიდომო, მაინც ვერ მოვახდენ იმ სასწაულს, რომ პეტრეს მშვენიერი შუბლიდამ, ივანეს ლამაზი თვალებიდამ, იაკობის ჩინებული ცხვირიდამ, ლაზარეს ნაზი ტუჩიდამ, ოქროპირის დარგვარებული ნიკაპიდამ, ლუარსაბის შავი ულვაშიდამ და შაიხოსროს ქერა თმიდამ ერთი ცხოველი და ცოცხალი პირის სახე შევადგინო. შეიძლება რომ, ცალკე აღებული, თითოეული ნაწილი მშვენიერი და დაუწუნარი იყოს, მაგრამ ერთათ ეს ნაწილები შეადგენენ უმსგავსო და უსულდგმულო კატლეტს, რომელსაც ზეციდამ მოელინებული ანგელოზიც ვერ შთაბერავს დღეგრძელობას და ცხოველს სულს. მაიელის ცოტაოდენი დრობა, და ნაკუწ-ნაკუწი ნაშრომი დაიშლება, გან-განზე გაიწევს, მისი ნაკერავები გაცვდებიან, ნაწილები დალპებიან და დაინგრევიან.

რისგან წარმოება, ეითომ, ამ გვარი უვარგისობა ნაკუწ-ნაკუწი შრომისა? იმისგან მარტო, რომ ამ გვარ შრომას არასოდეს არ დაუყენებია ერთი საერთო სული, რომ ის არ შეადგენს ნამყოფს ერთი რომელიმე ქვეყნის ან ხალხის შესწავლილ საჭიროებისას. მიეუბრუნდეთ ისევე, სამაგალითოდ, ბანკის წესდებას. ჩვენს ქვეყანაში, რომელშიაც კრედიტი ყველას სჭირია, ნაკუწ-ნაკუწათ შედგენილი ბანკი გამოადგება მარტო იმ პირებს, რომელნიც სწორეთ იმ გვარიე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორშიაც პოლტავის ან პარიჟის მიწის მეპატრონენი არიან. დანარჩენი პირებისთვის კი ამ გვარი ნაკუწ-ნაკუწათ შედგენილი ბანკი გამოუდეგარი იქნება, ამიტომ რომ მათი მდგომარეობა უცნობია პოლტავაში და პარიჟში. და თუ ამ უკანასკნელი პირების რიცხვი უფრო მომეტებული იქნა, ვინემ პირველებისა, რასაკვირველია, ბანკი რომელსაც მთელი საზოგადოებისთვის უნდა მოეტანა სარგებლობა, გამოადგება მარტო ზოგიერთებს, და მით აენებს დანარჩენებს. მაშინ ის უმრავლესობა, რომლის მდგომარეობა და საჭიროება ვერ გამოუკვლევია და ვერ დუკმაყოფილებია ბანკის გამწყობელს, რჩება უწინდელ საჭიროებად, და ბანკი ვერა აკმაყოფილებს უმრავლესობის მოთხოვნილებას, ხდება ზოგიერთების საჭიროებათ და ჰკარგავს თავის ბუნებით ფესვებს ქვეყანაში. — ხანგრძლივი, შეურყეველი და დაუცემელი მარტო ის საქმე ან საგანია, რომელიც უპასუხებს, აკმაყოფილებს და სარგებლობას აძლევს უმრავლესობის მოთხოვნილებას. და რადგანც, სხვა და სხვა ქვეყნებში, უმრავლესობის საჭიროება და მოთხოვნილება სხვა და სხვა ფერია, თითოეული ქვეყნის საჭიროების და მოთხოვნილების გამოსაკვლეველათ საკმაო არ არის სხვა და სხვა ბანკების წესდებათ შეზავება. ამ საგანს სჭირია საკუთარი გონება, გამოცდილება, ცნობა, სჭირია საკუთარი სული და ჭკუა. აი ამისგამო, ყოველს ქვეყანაში, რომლის მდგომარეობაც სხვა ქვეყნებს არ ჩამოგავს, გონიერი პირები იმ გვარს წესებს ურდგენენ, რომელნიც საზოგადობრივი მეცნიერების უმთავრეს პრინციპებს ადგილობრივი საჭიროების მიხედვით გამოაყენებენ და ამოქმედებენ.

## II. — რა ნაირათ არის შედგენილი ჭუთაისის ბანკის წესდება.

შფ. ბესარიონ ლოლობერიძემ შეადგინა ჭუთაისის ბანკის წესდება სულ სხვა ნაირათ. იმან თვითონ აღიარა, ამ სამის წლის წინეთ, რომ ჩემი უსტავი მე გადმოვწერეო. რა რიგათ არის გადმოწერილი ეს წესდება, ამას ჩვენ გვიჩვენებს შემდეგი საზოგადო მოსაზრება.

რუსეთის საადგილ-მამულო ბანკებში არის ორი უმთავრესი ტიპი ბანკებს გამართვისა:

1, ხერსონის ერობის ბანკისა, რომელშიაც პრინციპათ მიღებულია ურთიერთობის თავდებობა და ადგილობრივი მიწის მეპატრონეების ამხანაგობრივი გაწყობილება; 2, ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკისა, რომელშიაც საქმე იმაზე ბრუნავს, რომ ზოგიერთი ფულების მეპატრონენი, აქციების და ფურცლების გამოშვებით, ფულს აგროვებენ და მაწის-მეპატრონეს, მისი მამულის გირაოს ქვეშ, ასესხებენ. პირველი ბანკი დაფუძნებულია ურთიერთის ნდობაზედ და თავდებობაზე, მეორე—სესხზე და გირაოზე. ერთია—საზოგადოება, მეორე — აქციონური კამპანია. ამ ორი ბანკის წესი ორი სხვა-და-სხვა პრინციპიდამ წარმოებს, სხვა-და-სხვა მიზანს სდევს, სხვა-და-სხვა, წინაალმდეგ ანგარიშზე მოქმედებს და არსებობს...

შფ. ბესარიონ ლოლობერიძეს აუღია ეს ორი მოწინააღმდეგე ბანკი, და მათს საერთო კალაპოტზე შეუდგენია ჭუთაისის ბანკის წესდება. შეუდგენიათ, რომ ეთქვი, იმის მაგიერ უნდა მეთქვა შეუწევაესთქო, ამიტომ რომ „შედგენა“ აქ შეუძლებელი იყო. იმას გადმოუწერია ათიოდე მუხლი ხერსონის ბანკის წესდებიდან (რომელშიაც ურთიერთის თავდებობას უმთავრესი ადგილი უკავია). ოციოდე მუხლი გადმოუწერია ხარკოვის ბანკის წესდებიდამ (რომელიც აქციონურს პრინციპზეა დაფუძნებული), ხუთიოდე მუხლი თფილისის ბანკის წესდებაში უპოვნია, და მარტო ხუთი თუ ექვსი მუხლი თვითონ თავისი შეუდგენია. თუ მთელ მის წესდებაში ვინმე ოთხმოც-და-ათს პროცენტს მიჩვენებს, რომელიც თვითონ ბესარიონ ლოლობერიძეს შეედგინოს და დაეწეროს, მაშინ მე ცუდი კაცი ვითხარით.

ჯერ იმის განხილვას მოვყვეთ, რა ნაირათ არის გადმოწერილი ბ. ლოლობერიძის წესდება.

თითქმის მთელი წესდება გადმოწერილია სიტყვა-სიტყვით, შეუცვლელათ, ისე, რომ ერთი ასოს გადასწორებაც ვერ გაუბედნია შემდგენელს. ყველა უმთავრესი მუხლები, სადაც კი ბანკის პრინციპი და ხასიათი უნდა გამოსახულიყო, ამ გვარათ არის გადმოწერილი.

რამდენიმე მუხლი (ათიოდე, მეტი არა) გადმოწერილია ორი, სამის სიტყვის ადგილის შეცვლით. მაგალითად: თფილისის ბანკის წესდებაში სწერია, მეორე მუხლში: „Основной (складочный) капиталъ банка...“ ჭუთაისის წესდებაში კი მეორე მუხლი ამბობს: „Складочный (основаной) капиталъ банка..“ და სხვ.

ბადმოწერის ხასიათს ყველაზე უკეთესათ გვიჩვენებს ჩვენ ჭუთაისის ბანკის წესდების პირველი მუხლი. მოვიყვან სიტყვა-სიტყვით იმ ორ მუხლს რუსული ბანკების წესდებისას, საიდამაც ის ამოწერილია:

ხერსონის ბანკის წესდება, მუხლი პირველი:

„*Кредитное общество подъ названіемъ*: „Земскій банкъ Херсонской Губерніи“, *учреждается для* доставленія землевладѣльцамъ Херсонской Губерніи средствъ къ полученію ссудъ подъ залогъ поземельной собственности“.

ხარკოვის ბანკის წესდება, მუხლი პირველი:

„Харьковскій земельный банкъ учреждается для *выдачи ссудъ подъ залогъ недвижимой* собственности въ губерніяхъ: Харьковской, Курской“ და სხვა.

თუ კაცი ორივე ამ მუხლს დააკვირდა, დაინახავს, რომ ორივე მუხლი სრულიად შეეფერება თითოეულის თავისი წესდების პრინციპს. ხერსონის ერობის ამხანაგობა თვითონ როდი აძლევს ფულს სესხათ ადგილ-მამულის მეპატრონეს: ის იმას უადვილებს ფულის შოვნას ურთიერთის თავდებობით და ფურცლების გამოცემით. ხარკოვის ბანკი კი, თავისი პრინციპით, თვითონ უნდა შოულობდეს ფულს, აქციებით ან ფურცლებით, და თვითონ უნდა აძლევდეს ამ ფულს სესხათ. ამის გამო ერთი ბანკის წესდება ამბობს: *кредитное общество* **учреждается** *для доставленія* **землевладѣльцамъ** *средствъ къ полученію ссудъ*, მაშინ როდესაც მეორე (ხარკოვის) ბანკის წესდება კი ამბობს: *банкъ* **учреждается** *для выдачи ссудъ*. ცხადია, რომ ორივე ეს მუხლი ჩინებულათ შეეფერება თავ-თავის წესდებას. ვნახოთ ეხლა, რანაირათ გადმოუწერია ბ. ლოლობერიძეს ეს მუხლები:

ჭუთაისის ბანკის წესდება. მუხლი პირველი:

„Кредитное Общество, подъ названіемъ *„Михайловскій Дворянскій Земельный банкъ“*, учреждается для выдачи ссудъ подъ залогъ недвижимой собственности *въ Кутаисской губерніи и Сухумскомъ военномъ отдѣлѣ*“.

აქედამ სჩანს, რომ ბ. ლოლობერიძეს ორივე რუსული ბანკის წესდებიდამ ცოტ-ცოტა რამ აუღია: ერთიდამ თავი, მეორედამ—ბოლო, და აღებულისთვის თავისი საკუთარი მარტო ის წაუმატებია, რაც ჭუთაისის სახელს შეეხებოდა. დანარჩენი შეეხამებოდა ერთად, თუ ცალ-ცალკე ამისთვის იმას ყურადღება არ მიუქცევია. ამის გამო მისი წესდების ძალით ჭუთაისის ბანკი გამოდის ეითომც თვითონ აძლევდეს ფულს სესხათ, მაშინ, როდესაც ის, როგორც ხერსონისა, მარტო უადვილებს მიწის მეპატრონეს ფულის შოვნის საშუალებას.

მთელს წესდებას სწორეთ ამ რიგი გადმოწერის ბეჭედი ასვია. ყოველგან, სადაც კი უფ. ლოლობერიძეს თავისი რამ ჩამატება გაუბედავს, გამოდის ნამდვილი და გაუგებარი შემსგავსება. ორს მაგალითს მოვიყვანთ. ჭუთაისის ბანკის წესდების მეექვსე მუხლის ერთი წილი გადმოწერილია თფილისის ბანკის წესდებიდამ, და მეორე წილი შედგენილია თვითონ უფ. ლოლობერიძისგან. შემდგენელს არ ვიცით რა მიზეზით დაუწესებია, რომ ბანკს მარტო მაშინ შეუძლიან გაიხსნასა, როცა მსესხებელნი ასი ათასი მანეთის სესხის აღების სურვილს გამოაცხადებენო. მერმე დამატებულია, რომ, ბანკის მმართველობის აძრჩევამდე, სესხის მიღების სურვილი ყველას შეუძლიან განუცხადოს ბანკის დამაარსებლებსო. და რადგანც ბანკის დამაარსებელთ მთელი ჭუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა ითვლება, ცხადია, რომ წესდების ძალით სესხის სურვილი უნდა განეცხადოს თითოეულ თავადს ან აზნაურს, ცალ-ცალკე. რატომ არ დაუშატა ამას შემდგენელმა, რომ სურვილი უნდა განეცხადოს ბანკის დამაარსებლების წინამძღომელს ან ბანკის კომიტეტს — ამისი გაგება შეუძლებელია. ამგვარიე უმსგავსობა სჩანს მეორე მაგალითშიაც. თფილისის ბანკის წესდებაში სწერია (მუხლი 64): „ბანკის საქმეებს განაგებს მმართველობა, რომელიც თფილისში იმყოფება და სამი წევრისგან შესდგება და სხ. „უფ. ლოლობერიძეს საჭიროთ დაუნახავს ჩაეგებება ამ მუხლში დამფასებელი კომისიისა, რომელიც სრულიადაც არ გახაგებს ბანკის საქმეებს, და მარტო აფასებს დასაგირავებელ მამულებს. ამის გამო ჭუთაისის ბანკის წესდება (მუხლი 64) ამბობს: „ბანკის საქმეებს განაგებენ: 1) მმართველობა ბანკისა და მასთან დაარსებული დამფასებელი კომისია, 2) ზედამხედველი კომიტეტი“ და სხვ. ორივე ეს ჩამატება უბედურია, ამიტომ რომ ბანკის საქმეების განაგებაში არც დამფასებელ კომისიას, არც ზედამხედველ კომიტეტს არავითარი გაელენა და ადგილი არა აქვთ: პირველი მამულებს აფასებს და თავის დაფასებას არდგენს; მეორე ზედამხედველობს იმაზე, წესიერათ და კანონიერათ განაგებს მმართველობა ბანკის საქმეს, თუარა. ამგვარი სხვა და სხვა ფერი საქმეების ერთმანერთში არევა საკვირველათ გვიჩვენებს, რამოდენათ ნათელი აზრი ჰქონია შემდგენელს თითოეული ბანკის ჩარხის დანიშნულებაზე, და ჩვენ საკმაო საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ამ გვარ ჩამატებებას და ჩაკვეხებებას ისევე ის სჯობდა, რომ წესდება უფ. ლოლობერიძეს სიტყვა-სიტყვით გაეხსწორებლათ და ჩაუმატებლათ გადმოეწერა...

ამნაირათვე უბედურია ის ადგილებიც, სადაც უფ. ლოლობერიძეს გამოუტოვებია ან წაუშლია ზოგიერთი სიტყვები რუსული წესდების გადმოწერის დროს. ერთს მაგალითს ამისასაც მოვიყვანთ.

ხარკოვის (აქციონერების) ბანკის

წესდებაში მუხლი 48 ამბობს, რომ დაფასების საფუძვლათ ბანკი უნდა ხელმძღვანელობდეს განსაკუთრებით (преимущественно) მამულის შემოსავლის რაოდენობით. უფ. ღოღობერიძეს არ ვიცი რა მოსაზრებით წაუშლია ეს სიტყვა „преимущественно“, და ეხლა მისი წესდების ძალით დაფასების დროს ბანკი უნდა ხელმძღვანელობდეს მარტო მამულის შემოსავლით, მერე როგორით? შემოსავლით, რომელიც განიმარტება არენდის პირობით, ანა და მიწის გაქირავების და სხვა ამგვარი კანტრაქტების პირობებით. მერე აქვს ჩვენში მამული არენდით გაცემული ან კანტრაქტით გაქირავებული? რასაკვირველია, ხარკოვის გუბერნიაში, სადაც თითქმის ყველა მამულის-მეპატრონეები თავიანთ ადგილ-მამულს არენდით აქირავებენ და მიწას თვითონ არც ერთი პატრონი არ ასარგებლებს და არ შეამუშავებს, ეს მოთხოვნილება თავის ადგილზე იყო. მაგრამ ჩვენში, სადაც არენდა რა სიტყვაა არავინ იცის, და სადაც არენდათ მარტო სახუქარი ჯილდო მიაჩნიათ, უნდა დარჩენილიყო ამ გვარი მუხლი შეუცვლელი? და თუ შეცვლა რამე უნდა მოხდენილიყო შიგა, განა უფრო უნდა გაეძნელებია წესდების შემდგენელს დაფასების წესი, თუ უნდა გაეადვილებინა?

ერთი სიტყვით, მთელი წესდება, რამდენიმე (ექვსიოდე) მუხლის გარდა, გადმოწერილია რუსულ წესდებიდამ, უმიზნოთ და უაზროთ. იქ, სადაც შემდგენელს რამე ან ჩაუმატებია, ან გამოუკლია, იმას შეცდომა მოსვლია, თითქო ის თვალ-დახუჭვილი შლიდა ანა და ამატებდა, საჭიროების და სარგებლობის დაუხედველათ. არც ერთს მისგან შედგენილს ან ჩაყვეხებულ სიტყვაში არ სჩამს საქმის ცოდნა და რომელიმე მძიმე და საჭირო მიზნის ძიება. არც ერთს გადმოწერილს მუხლში არ ჩანს შემდგენელის მტკიცე აზრი და მოთელი, საფუძვლიანი შეხედულება ბანკის მომავალზე და დანიშნულებაზე. ამის გამო ქუთაისის ბანკის წესდება დღეს ისეთი წესდებაა, რომელსაც ადვილათ შეადგენდა ყოველი პირი, სრულიად გაუჩვეველი პოლიტიკური ეკონომიის და ფინანსიური მეცნიერების საიდუმლოებში, და რომელსაც ატყვია დაღი სრული უცოდინარობისა და მიუგნობლობისა....

ამ გზით და ამ საშუალებით გადმოწერილი და შედგენილია ეს ჩვენი წესდება. ეხლა ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმაზე, თუ რა იპოვება თვითონ ამ წესდებაში.

## III.—ქუთაისის ბანკის წესდება

წესდების ძალით, ქუთაისის ბანკი მიიღებს გირაოთ იმ მამულებს, რომელნიც მფლობელს სრულ საკუთრებათ ეკუთვნიან, და ამ საკუთრების დასამტკიცებლათ მოითხოვს კანონიერს მოწმობას. ამ გარემოებაზე მე ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა.

უმთავრესი დაბრკოლება ხალხში კრედიტის გავრცელებისა და ქვეყანაში საადგილ-მამულო ბანკის დაფუძნებისა ჩვენში იმაში მდგომარეობს, რომ ადგილ-მამულის კუთვნილება ჯერ კიდევ განსაზღვრული და განმარტებული არ არის. მამული არ მოიპოვება ჩვენში ისეთი, რომ ზედ დავა და პროცესები არ ატეხილიყვნენ ან არ ატყდებოდნენ. რასაკვირველია, რომ ფულის პატრონი ვერ ანდობს თავის ფულს იმისთანა პირს, რომლის უფლება ადგილ-მამულზე შეურყეველი და მტკიცე არ არის. ამის გამო ჩვენში ყოვლად შეუძლებელია აქციონერული ბანკის ხეირობა ადგილ-მამულზე ფულის გასასესხებლათ. მაგრამ, რადგანაც ჯერ ჩვენში გამიჯვნა (მეჟევანიე) ვარიან ხანს კიდევ ვერ დაბოლოვდება, და ჩვენს საზოგადოებას მანამდი ფული ეჭირვება, შესაძლებელი იყო ბანკს ფულიც გამოეცა და ზარალსაც ასცდენოდა, ურთიერთის თავდებობის დაწესებით. მაშინ ფულის პატრონი ბანკის ფურცლებს იყიდიდა არა დაგირავებული ადგილების მიხედვით, არამედ ბანკის დამაარსებლების, ესე იგი მთელი ქუთაისის გუბერნიის აზნაურობის თავდებობით. ამ გვარათ ფული ადვილათ და იაფათ იშოვნებოდა ბანკისთვის. მეორეს მხრით, ჩვენის ბანკის სიმაგრისათვის, შესაძლებელი იყო, რომ ბანკში ადგილ-მამულის შეტანა გაეადვილებინა კაცს იმ შემთხვევებში, როცა გირაოს შემტანის მეზობლობა ბანკს ხელწერილს მისცემდა, რომ ადგილი ნამდვილათ ამ პირს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში ბანკს საკმაო გარანტია ექნებოდა, როგორც თავისთვის ეგრეთვე იმ კაპიტალისტებისათვის წარსადგენლათ, რომელნიც გირაოს ფურცლებს ყიდულობენ. მე იმას როდი ვამტკიცებ, რომ მაინცა და მაინც ამგვარათ უნდა გამართულიყო საქმე, მე ვამბობ მარტო, რომ შესაძლებელი იყო ამ გზით რომელიმე ისეთი საშუალება მოეძებნა კაცს, რომლის შეწყობით ბანკის ინტერესებიც დაიცვებოდნენ, და ჩვენს ადგილ-მამულის პატრონებს ბანკიდამ ფულის გამოტანაც შეეძლებოდათ. ეს საშუალება უფ. ღოღობერიძეს არც უძებნია, არც უპოვნია. იმას გადმოუწერია სიტყვა-სიტყვით ის მუხლი ხარკოვის ბანკის წესდებისა, რომელიც თხოულობს კანონიერს საბუთს და სრულს კუთვნილებას. ხარკოვის გუბერნიაში, სადაც გამიჯვნა დიდი ხანია გათავებულია და სადაც ყველა მეპატრონის სიმართლე განმარტებულია, ეს მუხლი რასაკვირველია თავის ადგილზე სდგას. ჩვენში კი ამ მუხლის შეუსწორებლათ გადმოწერას ის შედეგი ექნება, რომ ორიოდე სოფლის მამულის მეტის ბანკში დაგირავება არც-კი მოხერხდება. ვისა აქვს ჩვენში კანონიერი და შეურყეველი საბუთი და გამიჯვნის პლანი სოფლის მამულებზე? ვის შეუძლიან აიღოს უფროს ნოტარიუსიდამ მოწმობა, რომ მამული იმას დოკუმენტით შეუცილებლათ ეკუთვნის, რომ ზედ აკრძალვა არა აძევს რა, რომ მასზე არც მთავრობის, არც კერძო გარდასახადი არა აწერია, რომ არცერთს სასამართლოში მასზე არც პროცესი, არც დავა, არც საქმე რამ მოიძიება? მგონია, რომ ძლიერ ცოტას. თუ ამაზე მე მიპასუხებენ, რომ ბანკს უამისოთ ფულის გაცემა არ შეეძლო, დაკარგვის უნდა ჰშინებოდა და სხვ., მე ვიტყვი, რომ თუ ასეა, სულ არ უნდა დაგვეფუძნებინა ჩვენ საადგილ-მამულო ბანკი, ამიტომ რომ ამ პირობით ის არც ეხლა გამოადგება ადგილ-მამულის პატრონს. მოგვეცადა გამიჯვნამდი და მერმე გვეგვემართა. მაგრამ, რადგანაც გამიჯვნის დაბოლოვებამდი ჩვენს თავად-აზნაურობას ტყავი გაძვრებოდა უფულობის გამო, საჭირო იყო ჩვენში ისეთი ბანკის გამართვა, რომელშიაც საადგილ-მამულო ბანკის პრინციპი შეზავებული ყოფილიყო ურთიერთი ნ დ ო ბ ი ს ბანკის პრინციპთან. ამგვარ ბანკს უნდა ჰქონოდა საფუძვლათ არა თუ მარტო დაგირავებული მამულების ერთმანეთის გარანტია, მაგრამ ბანკის დამაარსებლების, ესე იგი მთელი ჩვენი თავად-აზნაურობის ურთიერთი თავდებობა.

რადგანაც უფ. ღოღობერიძეს ეს სახეში არ ჰქონია, დღეს ჩვენ მტკიცეთ დარწმუნებული უნდა ვიქნეთ, რომ ჯერ-ჯერობით, გამიჯვნის გათავებამდი, ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკი განსაკუთრებით სარგებლობას მოუტანს მარტო იმ პირებს, ვისაც ქალაქებში შენობები აქვთ გაშენებული, და ზედ მტკიცე საბუთებით აქვთ დამყარებული საკუთრების უფლება. სოფლელები კი, სოფლის მამულების პატრონები ვარიან ხანს ვერ მოესწრებიან ბანკიდამ ფულის გამოტანას.

იქავე ხარკოვის წესდების მიბაძვით უფ. ბ. ღოღობერიძეს დაუწესებია, რომ ჩვენს ქუთაისის ბანკში გირაოთ მარტო ის მამულები მიიღებიან, რომელთაც ნ ი ა დ ა გ ი შემოსავალი შემოაქვთ (მუხლი 11). ამ მუხლს წინეთ გასინჯული მუხლი 46 იმ რიგათ ხსნის, რომ შემოსავალი განმარტებული უნდა იქნეს არენდის ან სხვა ამგვარივე კანტრაქტის პირობებითო. მაშასადამე უფ. აბაშიძის ტყე, აჯამეთში, ჩვენს ბანკში გიროთ არ უნდა მიიღოს, ამიტომ რომ იმას ნიადაგი შემოსავალი არ შემოაქვს და ის არენდით გაცემული როდია. წრეულს მისი პატრონი ორმოც-დაათი ათას მანეთს მოიგებს შეშის გაყიდვაში, გაისათ ასი ათასს—ტრავერსებში, გარდამაისათ გრომშასაც არ აიღებს, და შემდეგში იქნება ოთხასი ათასი მანეთიც მოიგოს. ამგვარი მამული, წესდების ძალით, ბანკში გირაოთ არ უნდა მიიღებოდეს; აგრეთვე ის მამულიც, რომელშიაც მეპატრონე ერთს წელიწადს თივას სთიბავს, მეორეში კი არა, მესამეში ყანებს მართავს და მეოთხეში — სრულიად არაფერს. ერთის სიტყვით, თუ ქუთაისის ბანკის დამფასებელმა კამისიამ მართლა მტკიცეთ იხელმძღვანელა ამ ორი მუხლით, დარწმუნებით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ორი მამულიც არ მიიღება ბანკში გირაოთ, რადგანაც თითქმის არც ერთი ჩვენი მამული ამ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს.

უეჭველია, ეგონებ, ყველასთვის, ვინც ჩვენი ქვეყნის გარემოებებს იცნობს, რომ ჩვენი ადგილ-მამულის მეპატრონე სულ სხვა ნაირ მდგომარეობაში იმყოფება ვინემ რუსეთელი. ჩვენში მიწის-მეპატრონე ან თვითონ ამუშავებს თავის მიწას, ან წილში უდგია იმას, ვინც მიწას ამუშავებს. ჩვენი მიწის შემოსავალი, თითქმის ყოველთვის, ფულათ კი არ შემოდის, შემოდის სიმინდათ, ღომათ ან ღვინოთ და პურათ, და უმეტეს ნაწილში ისე, რომ ეს პური და ღვინო და ეს შემოსავალი შინვე იხარჯება, გარეთ ფულათ იშვიათათ იყიდება. ეს გარემოება უნდა ჰქონოდა მხედველობაში წესდების შემდგენელს, თუ იმას უმთავრეს თავის მიზნათ ის ჰქონდა, რომ მის ბანკს სარგებლობა მოეტანა ჩვენის თავად-აზნაურობისთვის და ჩვენის მიწის-პატრონებისთვის. ეს გარემოება იმას სრულიად არ მახსოვრებია, თორემ მის წესდებაში ორიოდე სიტყვა მაინც იქნებოდა ნათქვამი ბუნებით შემოსავალზე და მის მნიშვნელობაზე დაფასების დროს, აგრეთვე როგორც იმ გარემოებაზე, რომ ბანკი ყოველთვის იმ მეპატრონეებს უნდა აძლევდეს უპირატესობას, რომელნიც თვითონ ამუშავებენ თავიანთ მიწა-წყალს. ეს მეპატრონეები, ყოველთვის, უფრო ნაკლებათ ჰფლანგავენ ფულს, ვინემ ისინი, რომელნიც თავის მიწას აქირავებენ და თვითონ-კი უქმოთ ქალაქებში სცხოვრობენ, მაშასადამე ბანკს მათ პირში უფრო მეტი გარანტია ექნებოდა ხვედრი ფულის რიგიან გარდახდაში..

ჩვენს ბანკს ერთი მეტის-მეტათ სავნებელი და საშინელი დაბრკოლების შიში უნდა ჰქონოდა. ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ იმოდნათ არ გაჩვევია კომერციულს ცხოვრებას, რომ ვალების მნიშვნელობა და საჭიროება გაეგოს. ამის გამო, და სხვა ეკონომიური მიზეზების წყალობით, ძლიერ ხშირათ მოხდება, რომ მსესხებელი დროზე არ დაიხდის თავის შესატანს ფულს. პრიკაზის მაგალითი გვიჩვენებს ჩვენ, რომ მისი წლიური გარდასახადი ხუთი-ექვსი წლობით არ შეაქვთ მსესხებლებს. ღმერთმა ნუ ჰქნას, და ამ გვარივე დაბრკოლება როს ჩვენს ბანკს მიადგეს, რითი გარდაიხდის ის დროთი თავის გირაოს ფურცლების სარგებელს და ტირაჟში ამოსული ფურცლების თავნსაც? უეჭველია, თავის კაპიტალით. ამ კაპიტალის რაოდენობა შეადგენს 400,000 მანეთს. აქედამ ერთი წილი დანიშნულია მოკლე-ვადიანი სესხებისთვის. მეორე წილი შენახული უნდა იქნეს მმართებლობის სარგებლიან ქაღალდებში *), ისე რომ გამოშვებული გირაოს ფურცლების მეათედი შეადგინოს. მესამე წილი უნდა მოხმარდეს ტირაჟში გამოსული ფურცლების თავნის გარდასახდელათ და კუპონების გასასტუმრებლათ, როცა მსესხებელნი დროზე ფულს არ შემოიტანენ. მაგრამ ეს მესამე წილი მარტო მაშინ იქნება სამყოფი, თუ მსესხებელნი მარტო ორიოდ ან ექვსიოდე თვით დააგვიანებენ ხვედრი გარდასახადის შემოტანას. და თუ დაგვიანება, როგორც ამ ჟამათ პრიკაზს ემართება, რამდენიმე წელიწადს გასწევს, მაშინ ხომ ეს წილი არ აუვა გირაოს ფურცლებს. და ბანკი უნდა დაიკეტოს, განსაკუთრებით თუ დაგირავებული მამულები უცფათ არ გაიყიდა. ამ მდგომარეობის და საჭიროების მიხედვით, ბანკის წესდების შემდგენელს უნდა მოეხერხებინა, რომ ბანკს უფლება ჰქონოდა მსწრაფლათ გარდაიხდევინა ხვედრი ფული მსესხებლისგან, ვექსილის უსტავის ზოგიერთი წესების მიღებით. ამ გვარივე უფლებები მიეცა ოსმალოს და ავსტრიის ბანკებს, სადაც საზოგადოება ჩვენისთანა მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაგრამ ჩვენი ქუთაისის ბანკისთვის უფ. ღოღობერიძეს ამ გვარი უფლება არ უთხოვნია, და ამით იმას დაუსუსტებია ჩვენი ბანკის ძალა და სიმტკიცე. ამით წესდების შემდგენელი გვიმტკიცებს, რომ იმას ძლიერ სუსტათ გაცნობილი ჰქონია უმთავრესი პრინციპი კრედიტის საქმისა: რაც უფრო მტკიცეთ და ფიცხლათ შეიძლება ვალის გარდახდევინება, მით უფრო ადვილათ შეიძლება ვალის გაცემა. იმის მაგიერ, რომ იმას ეს პრინციპი დაეცვა, იმას ის უკულმა გადმოუბრუნებია და ვალის გაცემა გაუძნელებია, ალბათ იმ აზრით, რომ ვალის გაცემის გაძნელებით უფრო გაადვილდეს მისი გადახდევინება. მაგრამ ამ უკანასკნელი მოსაზრების უსაფუძვლობა დიდი ხანია დამტკი-

*) ბ. ღოღობერიძეს დავიწყებია გადმოწერა სიტყვების „ანუ მართებლობისგან გარანტია-მიცემულს აქციებში და ობლიგაციებში“, რომელთაც ბევრათ უმეტესი სარგებელი აქვთ, ვინემ ბანკის ბილეთებს.

ცებულია პრაქტიკით და მეცნიერებითაც.

არა მგონია, რომ საჭირო იყოს ამგვარივე გარჩევა მთელი წესდებისა, მით უფრო, რომ ჩვენი ბაასი ერთობ გაჭიანურდა და საგანი კი ნამეტნავად ვრცელი და დაუბოლოებელია. ამისგამო მოკლედ ვიტყვი, რომ ვერც ერთი ბანკისა, კრედიტის და პოლიტიკური ეკონომიის მცოდნე პირი ვერ გაბედავს თქმას, რომ ქუთაისის ბანკის წესდება შეეთანხმებოდეს და აკმაყოფილებდეს იმ მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენი საზოგადოება იმყოფება, და იმ საჭიროებას, რომლის დასაკმაყოფილებლათ გარდაწყვეტილი იყო ქუთაისის ბანკის გამართვა. თუ არის ვინმე ჩვენში ამის მთქმელი, გამოვიდეს და თქვას, და მაშინ ვნახავთ, რით დაამტკიცებს თავის თქმას.

## IV.—ქუთაისის ბანკის მნიშვნელობა და დანიშნულება.

ღვთის მადლით, ჩვენს საზოგადოებაში ძველში და ახალში—საკმაოთ მოიპოვება ისეთი პირები, რომელნიც ბანკის საქმეს მარტო სესხის თვალით როდი უყურობენ. ამ გვარი გონიერი პირების თვალში, ჩვენი ბანკი უნდა დაფუძნებულიყო არა თუ მარტო ფულის შოვნის გასაადვილებლათ—ეს იყო მარტო გარეგანი, წუთიერი მიზანი ჩვენი ბანკისა, მაგრამ სხვა, უფრო ღრმა და მომავლიანი საზოგადოებრივი მიზნის მისაღწევლათაც. ბანკის დაარსების უმთავრესი მიზანი და საფუძველი, როგორც ყველა გონიერმა პირმა იცის ჩვენში, ის იყო, რომ ბანკი, თუ ჩვენ არ გვექმნა ჩვენი საკუთარი ბანკი, ჩვენთვის და ჩვენ მიერ დაარსებული, მთელი ჩვენი მამულები ხელიდამ წაგვივა და სხვას დარჩებაო. მარტო ამ ჭკვიანურმა მოაზრებამ გაუკვალა ჩვენში გზა ამ'თანა მძიმე და უცნობ საქმეს, როგორიც ყოველგან საზოგადოებრივი ბანკის დაარსებაა. მაშასადამე უმთავრესი მიზანი ბანკის წესდების შემდგენელისა ამაზე უნდა ყოფილიყო მიზმანებული, რომ ჩვენი მამულები ხელიდამ არ წაგვივიდეს და ჩვენვე დაგვრჩეს. ამ უმთავრეს მიზანს აბია მეორე, აგრეთვე მძიმე და საჭირო მიზანი: ბანკის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ჩვენი საზოგადოების საჭიროებას: მის შვილების აღზრდას, განათლებას, მდგომარეობის გაუმჯობესობას და სხვა.

გარდაიკითხეთ, ეხლა, მთელი წესდება, შედგენილი ბ. ლოლობერიძისაგან, და მიბრძანეთ: რომელი მუხლი, რომელი სტრიქონი ამ წესდებისა შეეხება ამ უმთავრეს მიზანს? ხარკოვის აქციონერულს ბანკს ხომ სიზმარშიაც არ ზმანებია ამ გვარი ქვეყნის სასარგებლო მიზანი? მიჩვენეთ რომელიც გსურთ მუხლი ქუთაისის წესდებისა, და მე დაგანახებთ, რომელი მუხლიდამ არის გადმოწერილი ის ხარკოვის წესდებისაგან. მარტო ფორმისთვის ჩაკვეტებულია ქუთაისის თავად-აზნაურობის პირველი პროტოკოლის სიტყვები: ბანკის მოგების ნახევარი ქვეყნის საჭიროების დასაკმაყოფილებლათ უნდა მოხმარდესო. მაგრამ უმთავრეს საჭიროებაზე და მიზანზე, მამულების დაკარგვისგან დაცვაზე ზრუნავს განა ჩვენა წესდება, უმეტესად, ვინემ ხარკოვის ბანკის წესდება? თუ ზრუნავს, მიბრძანეთ, რომელს მუხლშია გამოსახული ეს ზრუნვა და რომელს თავშია დაწყობილი ის წესები, რომლის შემწეობით შესაძლებელია ამ მიზნის მიღწევა?

რამდენათაც მე ვიცი, არც ერთჯერ, არც ერთს ქვეყანაში ისე ადვილი არ ყოფილა ხეირიანი ბანკის გამართვა ჩინებულ, სოციალურ საფუძვლებზე, როგორც ქუთაისში. ნურვინ მოიყვანს აქ ტფილისის ბანკის და წესდების მაგალითს. ტფილისის ბანკის წესდების შემდგენლებს წინაღმდეგათ ჰყავდათ ძლიერი დიდკაცობა. რაც კი რამ ტფილისის გუბერნიაში პატივ-საცემი და ამაღლებული იყო ძველიდამვე, ყველა იმ ბანაკში იდგა, რომელსაც ებრძოდენ წესდების შემდგენელნი. ამ შემდგენლებს არ შეეძლოთ თავიანთ აზრების და მიმართულების სრული განხორციელება წესდებაში, და ამის გამო უნდა დაკმაყოფილიყვნენ მით, რაც შეიძლეს, რაც დაუთმეს იმათ მათმა ძლიერმა და დიდი პარტიის მექონე მოწინაღმდეგებმა. ქუთაისში კი მდგომარეობა სულ სხვა იყო. ვინ იყო წინაღმდეგი? არავინ, სრულიად არავინ! ქუთაისში მოხდა უმაგალითო საქმე: დიდი და პატარა, ძველი და ახალი, ავი და კარგი ერთი გრძნობით და ერთი სურვილით აღვსებული იყო—ბანკი დავაარსოთ, კარგი, ქვეყნის სასარგებლო, და ამ მიზნისთვის ნურაფერს დავზოგავთ, ნურაფერზე უარს ნუ ვიტყვითო! მარტო ამ გრძნობის მადლით გავიდა ისეთი მძიმე პრინციპი, როგორც ურთიერთის თავდებობა, რომლის ხსენება ტფილისის კრებაში შეუძლებელი იყო. მაშინ რაგინდ მსხვერპლი მოეთხოვა შემდგენელს საზოგადოებისაგან, უარს არავინ ეტყოდა, წინაღმდეგობას არავინ გაუწევდა. მთელი იმერეთის თავად-აზნაურობა მომყავს იმის მოწმათ, რომ მე ნამდვილათ ვსწერ ამ გარემოებას. ამას ვამტკიცებს ჩვენ კიდევ ის რომ კენჭის ყრის დროს წესდების წინაღმდეგ მარტო ექვსი თუ შვიდი შავი კენჭი ამოვიდა, მაშინ როცა თეთრი კენჭი რამოდენიმე ასი იყო.

ხალხისა და ქვეყნის ცხოვრებაში ამ გვარი ერთსულობა და თანხმობა იშვიათია. ადვილათ შეიძლება, რომ ოცი და ორმოცი წელიწადი გავიდეს ჩვენში, სანამ ჩვენ ხელ-ახლათ ვეღირსებით ამ გვარი ერთსულობის და თანხმობის დასწრებას და ნახვას. ეს ერთსულობა, რომელიც დამზადებული იყო არა უფ. ბეს. ლოლობერიძის წესდების მისაღებათ, მაგრამ ბ. ლოლობერიძის და ყმარწვილკაცობისთვის წესდების შედგენის მისანდობლათ, გამოიყენა უფ. ბ. ლოლობერიძემ თავისი გადმოწერილი წესდების გასატარებლათ. წესდება საზოგადოებამ მიიღო, გაუსინჯველათ, დაუფიქრებლათ, ამიტომ რომ იმ ჟამათ ხალხში გავარდნილი იყო ხმა (პაროლი)—ბანკის საქმე ბეს. ლოლობერიძეს უნდა მივანდოთო. მე მინდა ვთქვა ეხლა, როგორ შეიძლებოდა მაშინ ერთი ძვირფასი პრინციპის დაცვა, ბ. ლოლობერიძეს თავისი წესდება რომ არ წარედგინა საზოგადოებისთვის და მის ბიძაშვილებს თავის ოინებით ეს გადმოწერილი და მოუაზრებელი წესდება რომ არ დაემტკიცებინათ საზოგადოებისთვის.

ჩვენი ბანკის უმთავრესი აზრი—ადგილ-მამულის დაკარგვასგან ჩვენი საზოგადოების დაცვა—ერთობ საჭირო საქმეა. ვინც ჩვენს ეხლანდელს საზოგადოებას იცნობს იმან კარგათ იცის, რომ მამულის დაგირავებას, ვინც კი მოახერხებს, არავინ დაზოგავს, და ბანკიდამ გამოტანილ ფულს კი, საწარმოებლათ, მამულის გასაუმჯობესებლათ, ანგარიშების კარგათგასაწყობლათ იშვიათათ ვინმე მოიხმარს. მაშასადამე ნასესხი ფული დაიფლანგება ტანსაცმელში, სტუმრობაში, თამაშში, ერთი სიტყვით გამოუყენებლათ. უმთავრეს ნაწილს სესხის ამღებთ დროზე ფულის შემოტანა გაუჭირდება. ადრე თუ გვიან აუცილებლათ საჭირო გახდება დაგირავებულ მამულების გაყიდვა, თუ არა ყველასი, უმეტესი ნაწილისა ხომ მაინც.

ჩვენი ბანკი დაარსებილი იყო პირველათ იმისთვის, რომ რამდენათაც კი შეიძლებოდა განეშორებინა ამ გაყიდვის საჭიროება, და თუ გაუყიდველობა შეუძლებელი შეიქმნებოდა, ისე წაეყვანა საქმე, რომ მამული მაინც ჩვენებს, ახლობლებს, ჩვენი ქვეყნის კაცებს დარჩენოდათ, და არა გარამთიელებს მოსულს ურიებს და ურიების მსგავსებს. ამ მოსულების ეშინიან ჩვენს ხალხს, და ეშინიან საფუძვლიანათ, ამიტომ რომ ისინი დაუზოგველათ სარგებლობენ ჩვენი ხალხის და საზოგადოების სისუსტით, დაუზოგველათ ჰყვლეფენ და ალარიბებენ იმას. ვინ იქნება ჩვენში მყიდველი გასაყიდელი მიწებისა, ჩვენთაგანი? ათი-თუთხმეტი თავ-შენახული და გონიერი მეპატრონე, მეტი არავინ, ხომ? დანარჩენი მყიდველები იქნებიან ჩვენში მცხოვრები ვაჭრები, განსაკუთრებით ურიები, და უფრო განსაკუთრებით ისინი, ვინც აქამდი და აწიც ურიის სარგებლით ფულს ავალებენ. მაგრამ ამათი რიცხვიც მცირედია. მაშასადამე დანარჩენი მამულები დარჩებათ მოსულებს, უცხო-ქვეყნელებს, მყიდველ-გამყიდველებს, რომელნიც ან ჩამოგვესიძებიან და ხალხს გაჰყვლეფენ, ანა-და შორიდამ ჩვენ ადგილ-მამულით ივაჭრებენ და ჩვენ საზოგადოებას და ხალხს პროლეტარიათ გარდააქცევენ.

ჩვენი ქვეყნის ერთგულ შვილს, ჩვენი საზოგადოების და ხალხის კეთილის-მსურველს ამ განსაკუთრებულ მდგომარეობაში ისეთი საშუალება უნდა მოეძებნა, რომ ეს გასაყიდი მამულები ისევ ჩვენს ხალხს და საზოგადოებას დარჩენოდა. მე მგონია, რომ ამ გვარ საშუალებათ გამოდგებოდა, მაგალითად, შემდეგი წესი:

ვთქვათ მე ვაპირებ ჩემი მამულის დაგირავებას ბანკში; ვთქვათ კიდევ, რომ მე მყავს ოციოდე მეზობელი ან სახლის-კაცი, რომელთაც ეწყინებათ შემდეგში, ჩემი მამული რომ ვისმე გარეშე პირს ვაჭრობით დარჩეს. ვთქვათ კიდევ, რომ ჩემი მამული მოსწონს ან სახეიროთ მიაჩნია ჩემი სოფლის გლეხ-კაცობას, რომელსაც, მართალია, ერთბაშათ მისი ყიდვა არ შეუძლია, მაგრამ, ყიდვაზე რომ საქმე მივარდეს და რამდენიმე ათი წლით გაუნაწილოს კაცმა მისი ფასი, გარდახდა, ყიდვის უარს არ იტყვიან და დიდის სიამოვნებით შეიძენენ იმ ჩემს მამულს. განა შეუძლებელი საქმეა, ბანკმა ამ გვარ სახლის-კაცებთან, მეზობლებთან ან გლეხებთან თავდაპირველათვე მორიგებაში შევიდეს, დაფასების დროს, და მტკიცე პირობა ჩამოართვას, რომ ვინიცობაა ჩემი მამული გასაყიდათ რომ შეიქნეს ბანკის ველში, ის ჩემი მეზობლები, სახლის-კაცები ან გლეხები მოვალეობას იღებენ ამა-და-ამ ფასათ ის მამული აიღონ და ამდენ-და-ამდენ წელიწადში მისი ფასი ბანკს გარდაუხადონ? წარმოვიდგინოთ ეხლა, რომ ბანკის წესდების შემდგენელმა იქონია მხედველობაში ეს წესი. ვნახოთ რამდენს სარგებელს მოუტანდა ის ამით ქუთაისის ბანკს და საზოგადოებას.

ერთი რომ დაფასება ამ გვარი მამულისა თითქმის საჭიროც აღარ იქნებოდა: რაკი ბანკს თავიდამვე მყიდველი მზათ ეყოლებოდა, დაფასება რაღა საჭირო იქნებოდა: დამფასებლის მოვალეობას თვითონ ის პირები აასრულებდენ, რომელნიც მოვალეობას აიღებდნენ მამულის ყიდვისას.

მეორე როცა კაპიტალისტებს ეცოდინებოდათ, რომ ბევრ დაგირავებულ მამულებს წინ-და-წინვე ნაშოვნი ჰყავს მყიდველები, ჩვენი ბანკის გირაოს ფურცლების ღირსება მომატდებოდა, და ამით უსათუოთ აიწევდა.

მესამე. თვითონ ბანკს, ამ გვარათ მიღებულ გირაოებში, თავის დღეში ზარალი და დაბრკოლება არ მიეცემოდა, რადგანაც პირველივე გარდასახადის დაგვიანების დროს სესხის ამღების მხრით, ის ხელს-მიჰყოფდა მყიდველებს და მათგან მიიღებდა კმაყოფილებას.

მეოთხე. მამული, თუნდ პირველი მფლობელის ხელიდამ დაკარგულიყო, ისევ მის ნათესავებს, სახლის-კაცებს, მეგობრებს, მეზობლებს და თანა-მემამულეებს დარჩებოდა.

მეხუთე. ჩვენი გლეხ-კაცობა ამ გვარათ ნელ-ნელა შეიძენდა კარგძალ მიწებს, ამისთანაებს, რომლნიც ეხლა, ამ წესის მიუღებლობის გამოისობით, უცხო ქვეყნელებს და ურიებს უნდა დარჩესთ, რომლითაც, მაშასადამე, ვერც ჩვენი თავად-აზნაურობა ისარგებლებს, ვერც ჩვენი გლეხობა, და რომელნიც უცხო-ქვეყნეებს ხელში შეიქნებიან იარაღათ ჩვენი ხალხის გაყვლეფისა.

მითხარი, ჩემო მკითხველო, ცუდი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის ეს წესი? ვინ იქნებოდა მისი წინაღმდეგი? ეს წესი არც ბანკის დამაარსებლების აზრს ეწინაღმდეგებოდა, არც თავად-აზნაურობას, არც ხალხს, არც მმართებლობას. ამ წესის მისაღებლათ საჭირო იყო მარტო მისი გამოსახვა წესდებაში, ათიოდე ან ოციოდე ახლათ შემდგარი მუხლით, ისეთებით, რომელნიც ხარკოვის ბანკის წესდებაში არ მოიპოვებიან, ამიტომ რომ ხარკოველ აქციონერებს ფეხებზე ჰკიდიათ ვის ხელში გარდავა მამული, ოღონდ კი იმათ თავიანთი დივიდენდი მიიღონ. საჭირო იყო კიდევ სხვა ნაირათ გამოანგარიშება გირაოს ფურცლების ვადებისა, ისე, რომ შესაძლო ყოფილიყო მყიდველისთვის ახალი ვადის მიცემა და გაგრძელება, და ამ გამოანგარიშებას აგრეთვე საკუთარი შრომა სჭიროდა. მარტო ეს ორი დაბრკოლება უდგა წინ ამ, ჩემის აზრით ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო, აზრს. თორემ არც ჩვენი თავათ-აზნაურობა, არც ჩვენი მმართებლობა მის წინაღმდეგ სიტყვასაც არ იტყოდა. მკითხავ ეხლა, რისთვის არ იფიქრა ამ წესზე უფ. ბ. ლოლობერიძემ, როცა იმან იკისრა თავზე წესდების შედგენა იმ ბანკისთვის, რომლის უმთავრესი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი მამულები და მიწები ჩვენი ხალხისა და საზოგადოების ხელიდამ არ დაკარგულიყვნენ? მიბრძანეთ, აბა, რისთვის?

## V.—დასკვნა.

ის აზრი, რომ ეხლა უსარგებლოა ყველა ამ საგანზე ლაპარაკი, რომ საქმე დიდის-ხანით და დიდი ხანია გაბრუნდებულია, რომ წესდება დამტკიცებულია, მე ფეხს-მისხლეტს და მადას მიკლავს გავაგრძო დაწვრილებით საუბარი ჩვენი ბანკის წესდებაზე. თუ ღმერთმა ჰქნა და მოვესწა-